



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ლებარდე

ლებარდე, ადგილობრივი მნიშვნელობის მთის კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი ეგრისის ქედზე, მარტვილის მუნიციპალიტეტში, ზ. დ. 1600 მ. ახასიათებს ზომიერად რბილი ზამთარი (იანვრის საშ. ტემპ-რა $-4,1^{\circ}\text{C}$) და ზომიერად გრილი ზაფხული (აგვისტოს საშ. ტემპ-რა 16°C). ნალექები 1500 მმ წელიწადში. ძირითადი სამკურნ. ფაქტორია საშ. მთის კლიმატი, ნახშირმჟავა მინერ. წყალი (წყლის ტემპ-რა $7-13^{\circ}\text{C}$, მინერალიზაცია – $0,6-1$ გ/ლ, საერთო დებიტი დღე-ღამეში 41 ათ. ლ). სამედ. ჩვენებაა სუნთქვისა და საჭმლის მომწელებელ ორგანოთა ქრონ. დაავადებანი. სეზონი – ივნისი-ოქტომბერი. XX ს. 90-იანი წლების მოვლენების შემდეგ ლ. ძლიერ დაზარალდა. დღეისათვის მიღებულია გადანაცვეტილება კურორტის აღდგენის შესახებ, მიმდინარეობს რესურსების შესწავლა და განვითარების გეგმის შედგენა.
